მოზარდთა „აღზრდა-განათლების“ საკითხისათვის ივირონის მონასტერში

თამარ მელიქიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე: სტატიაში გამოკვლეულია გიორგი მთაწმინდელის მიერ XI საუკუნეში საქართველოდან ათონზე წაყვანილი მოზარდების განთავსებისა და განათლების საკითხი. ივირონის 1047-1090-იანი წლების ივირონის სასაზღვრე აქტებში დაცული ცნობა მიუთითებს, რომ ბარბარეს დომენში მდებარე ბავშვთა თავშესაფარი ივირონის მონასტრის საკუთრებაში იყო. ათანასე დიდის ლავრის დაქვემდებარებაში მყოფი ანალოგიური დაწესებულებების (კუნძული ნეოსი, მილოპოტამოსი) და პეტრიწონის მონასტრის მეტოქიონის (ნიკოლწმინდა) შედარებითი ანალიზი ადასტურებს, რომ ათონის მონასტრებში უწვერული მოზარდების განთავსება მონასტრის ტერიტორიის გარეთ არსებულ სპეციალურ სივრცეებში იყო შესაძლებელი. ერთი მხრივ, ივირონის მონასტრის საკუთრებაში მყოფი ბავშვთა თავშესაფრის შენობის მდებარეობა (ათონის ნახევარკუნძულის მიღმა) და დათარიღება (1047 წლიდან), ხოლო, მეორე მხრივ, ბიზანტიაში მოქმედი ორფანოტროპეიონების ფუნქცია (ობოლთა აღზრდა-განათლება) იძლევა იმის საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ ივირონის აქტებში დასახელებული დაწესებულება გიორგი ათონელის მიერ წაყვანილი მოზარდების საცხოვრებელი ადგილი უნდა ყოფილიყო.

საკვანძო სიტყვები: გიორგი ათონელი, ათონი, ივირონის მონასტერი, ბიზანტიური განათლება, ორფანოტროპეიონი.

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს გიორგი ათონელის საქმიანობის კვლევა ბიზანტიური საგანმანათლებლო პრაქტიკის კონტექსტში. ნაშრომი ძირითადად ორიენტირებულია მის მიერ საქართველოდან ათონის ივირონის მონასტერში წაყვანილი მოზარდების განთავსებისა და განათლების რეკონსტრუქციაზე, რაც დღემდე ღია საკითხს წარმოადგენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

გიორგი ათონელის პერსონასა და მის მრავალმხრივ საქმიანობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს X-XI საუკუნეების საქართველოს კულტურულ-ლიტერატურული ისტორიის კვლევაში. სამეცნიერო ლიტერატურაში დეტალურად არის შესწავლილი საეკლესიო მამის განსაკუთრებული როლი როგორც საქართველოში გატარებული საეკლესიო რეფორმის, ისე მთარგმნელობითი და ლიტურგიკული საქმიანობის მიმართულებით. თუმცა, მისი მოღვაწეობა დამატებით საჭიროებს ისტორიულ კონტექსტუალიზაციას ბიზანტიურ ფილანტროპულ დაწესებულებებთან და მონასტრებთან მიმართებით.

სტატიის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ მასში გაანალიზებულია *ივირონის აქტებში* არსებული ცნობები ათონის ქართველთა მონასტრის მფლობელობაში არსებული ბავშვთა თავშესაფრის შესახებ, რაც საშუალებას იძლევა იმ გარემოს რეკონსტრუქციისა, რომელშიც გიორგი მთაწმინდელის მიერ მოზარდთა აღზრდა-განათლება უნდა მომხდარიყო. კვლევა ეყრდნობა როგორც ჰაგიოგრაფიული ტექსტების, ისე ისტორიული წყაროების ანალიზს.

გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულ ტექსტზე „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისაჲ“ დაყრდნობით გიორგი ათონელის მოღვაწეობა სხვადასხვა მიმართულებით მრავალგზის არის გამოკვლეული. ვარაუდობენ, რომ მან ბაგრატ მეოთხის მოწვევით საქართველოში ჩამოსულმა ერთგვარი სასწავლებელი დაარსა სამცხე-ჯავახეთში (პაპუაშვილი, ნ., n.d) და სწავლების „მოდელიც“ კი შეიმუშავა (გამსახურდია, ს., 1975). გარდა ამისა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ თხზულებაში ნახსენები 80 ობოლი ბავშვი ათონის მთაზე იღებდა განათლებას (თავზიშვილი, გ., 1948). თუმცა, შენიშნულია ისიც, რომ გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში არ მოიპოვება მასალა იმის დასასაბუთებლად, რომ სამხრეთ საქართველოში ათონელ მამას ყრმათა სასწავლებელი ჰქონდა დაარსებული და მხოლოდ ტექსტში არსებულ „პედაგოგიკური შეხედულებების ცალკეულ გამოვლინებებს უნდა დავჯერდეთ“ (აფციაური, ჯ., 1980, გვ. 95).

მართლაც, გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულება მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს პედაგოგიური პრაქტიკისა და მოზარდთა ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპების შესასწავლად, რაც აშკარა მსგავსებას ავლენს ბიზანტიურ საგანმანათლებლო ტრადიციასთან. აღნიშნული მსგავსების გასაანალიზებლად და გიორგი ათონელის საქმიანობის ამ პერსპექტივიდან შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, გაირკვეს, თუ როგორი იყო ბიზანტიაში არსებული აღმზრდელობითი პრაქტიკა (რომელიც ფილანტროპულ საქმიანობასაც მოიცავდა) ობოლი და სოციალურად დაუცველი მოზარდებისადმი. სწორედ ამ საგანმანათლებლო და ფილანტროპული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მოქმედი შესაბამისი დაწესებულებების სტრუქტურა და ფუნქციები გიორგი ათონელის საქველმოქმედო საქმიანობის რეკონსტრუქციისთვის.

ბიზანტიური კულტურის მკვლევარები აღმოსავლეთ რომის იმპერიაში სამი ტიპის სასწავლო ინსტიტუციას გამოყოფენ - კონსტანტინეოპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტს[1], საპატრიარქო სკოლასა[2] და ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებს[3].

---

[1]უნივერსიტეტის არსებობის ხანგრძლივობისა და განსაზღვრული ფორმატით ფუნქციონირების დადასტურება დღემდე საკამათო საკითხია. წერილობით წყაროებში პერიოდულად ნახსენებ უმაღლეს სასწავლებელს მკვლევართა ერთი ნაწილი კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტად მიიჩნევს, მეორე ნაწილი მის არსებობას საერთოდ უარყოფს თეოდოსიუს II-ის პერიოდის გარდა. დაწვრ. იხ. Lemerle (Lemerle, 2017, გვ. 54);

[2] საპატრიარქო სკოლის შესახებ წერილობით წყაროები ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავს, რაც ართულებს აღნიშნული დაწესებულების ფუნქციონირების რეკონსტრუქციის საკითხს. იხ. Browning (Browning, 1962, გვ. 167-168; Lemerle, 2017. გვ. 94); ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ საპატრიარქო სკოლას საერთოდ არ უნდა ეარსება. დაწვ. იხ. Angold (Angold, 1995).

[3] იხ. Baynes & Moss, 1948

კვლევის ფარგლებში ჩამოთვლილი დაწესებულებებიდან ყურადღება უნდა გავამახვილოთ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებზე, რომლებიც მოზარდთათვის განათლების მიცემის გარდა თავშესაფრის ფუნქციასაც ითავსებდნენ. სწორედ ამ ტიპის სკოლების ორმაგი ფუნქცია მოდის თანხვედრაში გიორგი ათონელის საქმიანობასთან, რომელიც, როგორც გიორგი მცირის ტექსტიდან ჩანს, მოიცავდა ობოლი ბავშვების შეკრებას, მათ მოვლა-პატრონობასა და განათლებას. ეკლესია-მონასტრების დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი - ბავშვთა თავშესაფრები ე.წ. *ორფანოტროპეიონები* და *სამონასტრო სკოლები*.

ა) *ორფანოტროპეიონი*

აღმოსავლეთ რომის იმპერიაში პირველი ორფანოტროპეიონების დაარსება სასულიერო პირების ინიციატივას უკავშირდება და წარმოადგენს უძველეს ბიზანტიურ ფილანტროპულ საქმიანობას. დროთა განმავლობაში ასეთ დაწესებულებათა ფუნქციები მჭიდროდ დაუკავშირდა ადგილობრივი ეპისკოპოსისა თუ მონასტრის მოვალეობებს. საქველმოქმედო თავშესაფრებს უმეტესად სხვადასხვა რანგის სასულიერო წოდების მქონე პირები ხელმძღვანელობენ. მაგალითისთვის საკმარისია ბასილი კაბადოკიელის (IV ს.) მიერ დაარსებული ორფანოტროპეიონის მსგავს სკოლა-პანსიონი კესარიაში, რომლის მართვაც მონასტრის ბერებს ევალებათ. თავშესაფრის გარდა პანსიონს მოზარდთა სწავლა-განათლებაც აქვს შეთავსებული, ვინაიდან აღსაზრდელებს მონასტრული ცხოვრებისთვის ამზადებს. პანსიონში მოქმედებს ბასილი დიდის მიერ შემუშავებული სასწავლო კურიკულუმი, რომელიც გარკვეულწილად თანხვედრაში მოდის კლასიკურ პროპაიდეიასა და პაიდეიას, ანუ ენციკლური სწავლების სისტემასთან (Miller, 2003, გვ. 115)[1].

ბასილი დიდის პანსიონის მსგავსად სხვა სამონასტრო თავშესაფრებიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ განათლებას. მრავალი წყარო მიუთითებს, რომ ამგვარ დაწესებულებებში უმეტესად პრაქტიკული დანიშნულების საგნები ისწავლებოდა, რომელთა შორის უმთავრესი მუსიკა[2] და გრამატიკა იყო. ეს უკანასკნელი უკლებლივ ყველა საგანმანათლებლო ჩარჩოში

---

[1] პროპაიდეას საფეხურზე (სწავლა იწყებოდა 6-8 წლის ასაკში, გრძელდებოდა 3-4 წელი) ისწავლებოდა გრამატიკის დისციპლინა, იგივე γράμματα (ასოები), πεζὰ γράμματα ან ἱερὰ γράμματα. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება ἱερὰ γράμματα უნდა მიანიშნებდეს ბიბლიური ტექსტების (მაგ. ფსალმუნების) გამოყენებაზე კითხვის შესწავლის პროცესში.
რაც შეეხება ენციკლურ სწავლებას, იგივე παιδεία, ἐγκύκλιος παιδεία, იწყებოდა 12-14 წლის ასაკში, გრძელდებოდა 4 წელი, 18 წლამდე (Moffatt, 1986, გვ. 706; *The Oxford Handbook Of Byzantine Studies*, გვ. 787). ენციკლური სწავლება გულისხმობდა ძირითადს, ზოგადს, უმაღლესს - დაწყებითთან, პროპაიდეიასთან ოპოზიციაში. მოიცავდა გრამატიკისა და რიტორიკის/დიალექტიკის დისციპლინების შესწავლას. ფილოსოფია ცალკე იყო გამოყოფილი, როგორც „ხელოვნებათა ხელოვნება და მეცნიერებათა მეცნიერება“. „გრამატიკის“ ცნება ხანდახან „ორთოგრაფიის“ სინონიმად გამოიყენებოდა წყაროებში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გრამატიკის დისციპლინა მოიცავდა ენციკლური სწავლების საგნებსაც (Lemerle, 2017, გვ. 113; Browning, 1992, გვ. 83).

[2] როგორც ჩანს, მუსიკის სწავლება ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ მოზარდებს ქრისტიანულ საეკლესიო რიტუალებში მონაწილეობა მიეღოთ. მაგ. კონსტანტინეპოლის სხვადასხვა ეკლესიაში დღესასწაულებზე ობოლ ბავშვთა გუნდები გალობენ ფსალმუნებს, გალობით ესალმებიან აიმპერატორს აია სოფიას

მოიაზრებოდა, რომელიც მოქმედებდა სხვადასხვა ინსტიტუციებში - იქნებოდა ეს საერო სკოლა და ორფანოტროპეიონი, თუ საეპისკოპოსო და სამონასტრო აღმზრდელობითი სკოლა-პანსიონი. როგორც ირკვევა, სამონასტრო პანსიონებში პროპაიდეიას საფეხურის საგნების გარდა მოზარდები ეუფლებოდნენ კალიგრაფიას, ტაქსიგრაფიას (ταχυγραφια) (სტენოგრაფიას) და საბიბლიოთეკო საქმეს. აღნიშნული დისციპლინების სწავლება ხელნაწერების გადაწერასა და გამრავლების საქმეს ემსახურებოდა (Kalogeras, 2012, გვ. 167). შედეგად მონასტრის მკვიდრი დამწყები გადამწერები და კალიგრაფები შემდგომ სკრიპტორიუმებში აგრძელებდნენ მოღვაწეობას.

ბ) *მონატერთან არსებული სკოლა*

მონასტერი ბიზანტიური საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი იყო. პირველ რიგში, ის ითავსებდა ქვეყნის კულტურული განვითარების მთავარი ხელშემწყობის როლს, გარდა ამისა მფარველობდა ობოლთა თავშესაფრებს, ღატაკ ადამიანებს, საავადმყოფოებს და სხვადასხვა სახის დაწესებულებებს. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებდა მონასტრის უკიდეგანო ზეგავლენას სოციუმის ყველა შრეზე.

სამონასტრო სკოლების ფუნქციონირების რეკონსტრუქციისთვის ძირითად მასალას ჰაგიოგრაფიული ტექსტები და სამონასტრო ტიპიკონები იძლევიან. მაგ. პახომი დიდის (IV ს.) წესების მიხედვით, მონასტრის ყველა წევრს, დიდსა თუ პატარას, უნდა სცოდნოდა წერა-კითხვა, ფსალმუნები და ახალი აღთქმა ზეპირად. ფაქტია, რომ მონასტერში მცხოვრებ ბავშვებს თავშესაფრისა და საკვების გარდა გარკვეული სახის განათლებაც ეძლეოდა, თუმცა დისციპლინების სწავლებას სხვადასხვაგვარი სახე უნდა ჰქონოდა. ეგვიპტის დიდ მონატრებში ჩანს ენციკლური სწავლების საგნების კვალიც. მაგ. ალექსანდრიაში ისწავლება ორივე ტიპის ლიტერატურა - კლასიკური ბერძნული (საერო საგნებს) და ქრისტიანული (სასულიერო დისციპლინები)(Cooper, 2020, გვ. 155)[1].

რაც შეეხება ადრინდელი პერიოდის ბიზანტიურ სამონასტრო სკოლებს, ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით სულ რამდენიმე წერილობითი წყაროა შემორჩენილი, რომელიც მონასტერში არსებულ სკოლასა და საეკლესიო[2] სკოლაზე მიუთითებს (*Byzantine Monastic Foundation Documents*, 2000; (Nousia, 2016)[3],[4]. მე-9-10

ტაძარში და სხვ. (Constantine VII Porphyrogenitus, 1935). შდრ. კონსტანტინოპოლში კონსტანტინე დუკას კარზე მიწვეულმა გიორგი ათონელმა თავის მცირეწლოვან მოწაფეებს „ჟამობა“ ათქმევინა იმპერატორის წინაშე. გალობის დასასრულს მეფემ უთხრა წმინდა მამას: განგისწავლიან ბერძულსა გუარსა ზედა კეთილო ბერო“ შენი ობლებიო (აფციაური, ჯ., 1980, გვ. 98).

[1] შდრ. ბასილი დიდის სკოლა-პანსიონში არსებული სწავლების მოდელი.

[2] ბიზანტიური კულტურის მკვლევარები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში რთულია ამ ტიპის დაწესებულებების ფუნქციებს შორის მკაფიო განსხვავების დანახვა (Becker, 2006, გვ. 166).

[3] *Vita S. Gregentii, Ep. Homeritae*, ed. A. A. Vasiliev, Viz, Vremmenik 14 (1907, ed. 1909), cap. 1, გვ. 41, მაგულიას (Magoulias, 1976, გვ. 120) მითითებით).

[4] Theophanes, Chronographia, p. 368 (მაგულიას (Magoulias, 1976, გვ. 121) მითითებით).

საუკუნის წერილობით ძეგლებში შემონახულ ცნობები კი სამონასტრო სკოლისა თუ პანსიონის არსებობას ადასტურებს, თუმცა, იშვიათად[1].

მონასტრებს დაქვემდებარებული დაწესებულებების საგანმანათლებლო პრაქტიკა უნივერსალური არ ყოფილა, მას სამონასტრო ტიპიკონები არეგულირებდა - ცნობილია, რომ უწვერული მოზარდების თანაცხოვრება კინობიტურ საზოგადოებებში უმეტესწილად იკრძალებოდა[2]. სავარაუდოა, რომ ამ მიზეზით მოზარდებს მათთვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე - **მეტოქიონში ან სოხასტერში** ათავსებდნენ (Alice-Mary Talbot, 2018, გვ. 83-96), სადაც სულიერი წვრთნის გარდა სწავლების პროცესსაც ჰქონდა ადგილი. დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე არსებული პეტრიწონის ქართული მონასტრის წესდება მოიხსენიებს ნიკოლწმინდაში მდებარე სოხასტერს, რომელიც პეტრიწონის დაქვემდებარებაშია და იქ განთავსებული 6 მოზარდი ადგილობრივ მღვდელსაა მიბარებული განათლების მისაღებად[3],[4]; გარდა ჩამოთვლილი შემთხვევებისა, „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ ტექსტის მიხედვითაც „უწუერულნი“ მონასტრის ტერიტორიის გარეთ ცხოვრობენ[5].

მოზარდებისადმი მსგავსი აღმზრდელობითი ზრუნვის ტრადიცია ჩანს ქართველ ბერ-მონაზონთა საქმიანობაშიც. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერი, გიორგი მცირე, ათონელი მამის მრავალმხრივი მოღვაწეობის გვირგვინად მიიჩნევს მის ქველმოქმედებით ჩანაფიქრს, როცა აღნიშნავს, რომ მისი საქართველოში გამგზავრების ერთ-ერთი მიზეზი

---

[1] *პეტრე არგოსელის ცხოვრების* (X ს.) მიხედვით, სამონასტრო სკოლის მოზარდი წმინდა წერილის პარალელურად შეისწავლის საერო დისციპლინებსაც (ბერძნულ ლიტერატურას) (*Vita Petri Argivorum*, pp. 4-5) მილერის (Miller, 2003) მითითებით); სტუდიის მონასტერში ტრივიუმის დისციპლინებს - ძირითადად გრამატიკასა და ტაქიგრაფიას ასწავლიან ბავშვებს განცალკევებით მდგარ მეტოქიონში. (*Vita of Nicholas of Stoudios*, PG 105, 869C-872C, ლემერლეს (Lemerle, 2017) მითითებით).

[2] წყაროები ხანდახან საპირისპიროსაც მიუთითებენ. ვრცლად იხ. Alice-Mary Talbot, 2019.

[3] “არა მნებავს უკუე რაითურთით შესლვაი დედაკაცისაი ეკლესიასა ჩემსა გინა მონასტერსა ..... მოყმისა ვისიმე უწუერულისაი, რაითა არასადა დასაბრკოლებელ იქმნას, არამედ კიდე ხოლო სოფელთა შინა და აგარათა იყვნენ (*ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი,* 1971, გვ. 108).

[4] „განვაწესეთ უკუე ყოფად მოყმეთა მოსწავლეთა ნიკოლწმიდას, რომელ არს მახლობელად ციხისა სოხასტერი. დაიკარგოს მას შინა მღვდელი ერთი წმინდაი და მოღუაწე მოხუცებულთაგანი, ღირსად ჟამის მირველი.. და იყვნენ წმიდასა მას ეკლესიასა ნიკოლწმიდისასა მღვდელსა მას თანა სასწავლოდ ყრმანი ექუსნი..... ვიდრემდის დაისწავლონ სრულიად ყოველი წესი სამღვდელოი. და ოდეს ჰასაკად მოიწინენ და წუერითა გასრულდეს, მაშინღა რომელნიცა ღირს მღდელობისა ივნენ მათგანნი, ხუცად იკურთხენ...(*ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი,* 1971, გვ. 116).

[5] „ყოლადვე ეტყჳნ ნეტარი მამაჲ ჩუენი იკონომოსსა, ვითარმედ: „უწუერულთა მუშათა ნუ შეიწყნარებ, ამისთჳს რამეთუ მავნებელნი არიან ძმათანი: და ზოგთამე გონებითა ევნების და ზოგთა შეხედვითა....“ კუალად უკუეთუ ძმათა ვიეთმე მოიყვანნიან თჳსნი ნათესავნი უწუერულნი, მამასაცა ჰნებავნ, რაჲთამცა ისწავლეს სწავლაჲ და ჴელოვნებაჲ. გარდა მონასტერსა არა დაიმჭირნის, არამედ გარე სოფელთა გაგზავნნის, სადა იცოდის უმჯობესი და სულიერი და გამოცდილი იკონომოსი, და მუნ აღიზარდნიან. და ოდეს წუერითა შეიმოსნიან, მაშინ შემოიყვანნის მონასტრად“.(*ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* II, 1967, გვ. 82).

უპატრონოდ დარჩენილ ობლებზე ზრუნვა იყო - „ხოლო საცნაურ არს ესე, ვითარმედ ამათ ობოლთათვის წარუძღუა ღმერთი აღმოსავლეთს“ (*ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* II, 1967, გვ. 173; აფციაური, ჯ., 1980, გვ. 108).

როგორც ცნობილია, ივირონში მოღვაწე გიორგი ათონელი საქართველოში საეკლესიო რეფორმის განსახორციელებლად მოიწვიეს. მან სამშობლოში ყოფნისას იხილა ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის სოციალურად დაუცველი ოჯახების გაჭირვება, რომელსაც საყოველთაო შიმშილი უფრო ამძიმებდა. არსებული ვითარებით შეძრწუნებულმა გადაწყვიტა, შეეკრიბა ობოლი და უპოვარი ბავშვები და მათზე პასუხისმგებლობა აეღო. ხელმომჭირნე მოსახლეობას ნებაყოფლობით მოჰყავდა ბავშვები და წმინდა მამის კართან ტოვებდა. გიორგი მცირის ცნობით, ასეთი მოზარდების რაოდენობამ საბოლოოდ 80-მდე მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ათონელის ქველმოქმედება ბიზანტიური კულტურისთვის დამახასიათებელი ფილანტროპული ტრადიციის გამოძახილი იყო, მისი ჩანაფიქრი მხოლოდ ქველმოქმედებით არ შემოიფარგლებოდა. წმინდა მამას ამავდროულად ერთობ კომპლექსური ეროვნული განზრახვა ამოძრავებდა. იგი ესწრაფვოდა ინტელექტუალური სასულიერო საზოგადოების ჩამოყალიბებას ივირონის სივრცეში, რაც, ერთი მხრივ, მთაწმინდელი მთარგმნელების წამოწყებული საქმის ღირსეული გაგრძელება იქნებოდა და, მეორე მხრივ, ქართველი ბერების გამრავლება ქართველთა სავანეს გააძლიერებდა. სწორედ ამ ჩანაფიქრის განხორციელების ნაწილს წარმოადგენდა ობოლთა და მიუსაფართა აღზრდა-განათლებაზე ზრუნვა და მათი თან წაყვანა ივირონის მონასტერში.

როგორც ჰაგიოგრაფი აღნიშნავს, გიორგი ათონელმა „შეწყნარებული“ადამიანები 4 ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით გაანაწილა. მოზარდთა ამგვარი დაყოფა სრულიად ემთხვევა ბიზანტიური კვლევების მიხედვით რეკონსტრუირებულ მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარებისა და შესაბამისი სწავლების მოდელს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ წმინდა მამა კარგად იცნობდა ბიზანტიურ საგანმანათლებლო პრაქტიკას და ითვალისწინებდა კიდეც.

პირველი ასაკობრივი კატეგორია, რომელმაც „არცა მარჯუენე უწყოდეს, არცა მარცხენე, არამედ მოქენე იყვნეს სძესა დედისასა“ *(ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* II, 1967, გვ. 168) უნდა მიემართებოდეს ბიზანტიელი მოზარდის სკოლამდელ ასაკს, „სიჩჩოების“ პერიოდს. რაც შეეხება მეორე („სიჩჩოებისაგან მცირედ-ოდენ დაკლებულნი და ყრმად სახელდებულნი“) და მესამე კატეგორიის მოზარდებს (ჰასაკსა შინა სიჭაბუკისასა მოზარდნი[1] და თმათა მათ მამაკაცობისათა მომლოდენი“), „ყრმანი“ შეესაბამებიან პროპაიდეიას საფეხურის მოზარდებს, ხოლო „მოზარდნი თმათა მათ მამაკაცობისათა მომლოდენი“ - ენციკლური სწავლების შესაბამისი ასაკის მქონეთ.

რაც შეეხება ისეთ ადამიანებს, რომელთაც სრულწლოვანებისთვის უკვე მიეღწიათ და გადაწყვეტილების მიღება თავად შეეძლოთ, ისინი „ნეფსით თჳსით დაემოწაფნეს“ წმინდა მამას.

---

[1] ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ჰასაკად მოსული“ ვაჟი უკვე ჭაბუკად ითვლებოდა 16 წლის ასაკში (აფციაური, ჯ., 1980, გვ. 26).

მოზარდთა ამგვარი ასაკობრივი დიფერენცირება ხაზს უსვამს გიორგი ათონელის მიერ ბიზანტიურ საგანმანათლებლო სისტემაში განსწავლულობას. თუმცა ამ შესაბამისობის გათვალისწინებით ისიც უნდა აღინიშნოს რომ სწორედ ბიზანტიური სამონასტრო პრაქტიკა მკაცრად კრძალავდა უწვერული ყრმების მონასტერში განთავსებას. აქედან ბუნებრივად იბადება კითხვა: სად უნდა მიეღოთ აღზრდა-განათლება წმინდა მამის მიერ საქართველოდან წაყვანილ მოზარდებს ათონის მთაზე?

ამ საკითხთან მიმართებით გასათვალისწინებელია X-XI საუკუნეებში ათონის მთაზე უწვერული მოზარდების აღზრდა-განათლების პრაქტიკა, რომელიც ასახულია ქართულ და ბიზანტიურ წყაროებში:

1. ათონასე დიდის ლავრა („ათანასე დიდის ცხოვრება“)

„ათანასე დიდის ცხოვრების“ B რედაქციაში რამდენიმეჯერ ნახსენებია „მილოპოტამოსი“ - ათონის მთასთან დაკავშირებული ტერიტორია, რომელიც, „ცხოვრების“ ბერძნული კრიტიკული ტექსტის გამომცემლების განმარტებით, წარმოადგენდა ათანასეს დიდის ლავრის მეტოქიონს.

თხზულების მიხედვით, ათანასე პერიოდულად მოინახულებდა ხოლმე მილოპოტამოსს, სადაც მორჩილების საწვრთნელი სივრცე იყო გამოყოფილი. ეს მოსამზადებელი სივრცე ტექსტში აღინიშნება ტერმინით φροντιστήριον. მკვლევარების აზრით, ეს უკანასკნელი ხან *მონასტერს* გულისხმობს და ხან - *სკოლას* (*The Life of Athanasios of Athos*, Version B, 2016, გვ. 686).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თხზულების B რედაქციაში აღწერილი კუნძული ნეოსი, რომლის ტერიტორიაზეც იგივენაირი φροντιστήριον-ი იყო განთავსებული. აღნიშნულ სივრცეში მორჩილები და ახალგაზრდა ბერები ერთგვარ წვრთნებს გადიოდნენ. როგორც „ცხოვრების“ ავტორი მიუთითებს, კუნძულს სახელწოდება - Νέωι სწორედ იმ „სკოლის“ მიხედვით მიუღია, რომელიც მის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა[1]. იმავე ინფორმაციას ადასტურებს „ცხოვრების“ მეორე, A რედაქციაც: კუნძული ნეოსი წარმოადგენდა სამეფო ძღვენს ათანასე დიდის ლავრისთვის, რომელსაც სახელი ახალგაზრდა ბერების მოსამზადებელი საქმიანობის მიხედვით დაერქვა[2].

აღნიშნული ტექსტის მიხედვით, ფაქტია, რომ ათონზე მონასტრის ტერიტორიის მიღმა არსებობდა მოზარდებისა და ახალგაზრდა მორჩილთათვის გამოყოფილი სპეციალური ტერიტორია, რაც იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ერთი მხრივ, მონასტერს უზრუნველყო მოზარდთა აღზრდა-განათლება, ხოლო, მეორე მხრივ, არ დაერღვია ტიპიკონის მოთხოვნები.

---

[1] ‘“Ἡ τών Νέων νήσος μία έστι και αύτή τών πρός τήν Λαύραν δωρεών τών κρατίστων και άοιδίμων βασιλέων’ ούτω δέ έπωνομάσθη δια τό **φροντιστήριον** γεγονέναι έν αύτή και προγυμνάζεσθαι έκεισε τούς νεωτέρους τών μοναχών” (*The Life of Athanasios of Athos*, Version B, 2016 გვ. 309).

[2] ‘’εις **φροντιστήριον** δέ καί γυμναστή ριον νέων μοναχών έπωνύμως μετασκευασθεΐσα’’ (*The Life of Athanasios of Athos*, Version B, 2016 გვ. 686).

2. კუნძული ნეოსი და ივირონის მონასტერი („იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“).

გიორგი ათონელის ტექსტის მიხედვით, იოანესა და ექვთიმეს დიდძალი ქონება შეუწირავთ ათანასე დიდის ლავრისთვის, შეწირულობის ჩამონათვალში ნახსენებია კუნძული ნეოსიც, რომელიც ბიზანტიის იმპერატორს ბასილის იოანე მთაწმინდელისთვის უბოძებია[1].

ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას თუ მივყვებით, დიდი ალბათობით ეს იგივე კუნძული უნდა იყოს, რომლის შესახებაც საუბარია ათანასე დიდის ცხოვრებაში და რომელიც საგანმანათლებლო თუ საწვრთნელი სივრცის ფუნქციას ასრულებდა. თუმცა „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ კუნძული შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მხოლოდ[2] და გიორგი ათონელის მიერ წაყვანილი მოზარდების იქ განთავსების შესახებ ვარაუდის დაშვება არ იქნება მართებული, ვინაიდან პირდაპირი წყარო არ მოგვეპოვება. გარდა ამისა, XI საუკუნის შუა ხანებში (ექვთიმესა და ათანასეს გარდაცვალების შემდეგ) ათონზე ქართველ-ბერძენთა შორის გაჩაღებული შუღლი გარკვეულწილად ართულებს ივირონელთა მიერ ათანასეს ლავრის მატერიალური რესურსების გამოყენების დაშვების შესაძლებლობას.

3. ივირონის მონასტერთან არსებული საგანმანათლებლო სივრცე - ჰიპოთეზა და არგუმენტები

სავარაუდებელია, რომ უშუალოდ ივირონის მონასტერსაც უნდა ჰქონოდა მსგავსი სასწავლო ტერიტორია, რომელიც საქართველოში „შეწყნარებული“ ბავშვების აღსაზრდელ ადგილად ჰქონდა განზრახული გიორგი ათონელს, მით უმეტეს მაშინ, როცა პეტრიწონის მონასტრის წესდების მიხედვით, მეტოქიონი\სოხასტერი ნიკოლწმინდაში წარმოადგენდა სასწავლო სივრცეს მორჩილთათვის. ეს მიუთითებს, რომ უწვერული ყრმების განთავსებასთან დაკავშირებით ქართული სამონასტრო ტრადიციაშიც არსებობდა მსგავსი პრეცედენტი.

ამგვარ ვარაუდს შეიძლება საფუძვლად დაედოს ივირონის აქტებში არსებული ცნობა ივირონის მამულების შესახებ. დოკუმენტი დათარიღებულია სავარაუდოდ 1090-1094 წლებით და წარმოადგენს გრიგოლ ქსიროსის ხელმოწერილ სასაზღვრე აქტს, რომლის მიხედვითაც ივირონს გადაეცა 6 საზღვრებდადგენილი დომენი. ტერიტორიების გადაცემის გადაწყვეტილების აღსასრულებლად გრიგოლ ქსიროსის ქვეშევრდომი დაეყრდნო სარწმუნო პირების დამოწმებას და იმ ძველ სასაზღვრე ნიშნებს, რომელიც მითითებული იყო 1047 წელს აღმწერ ანდრონიკეს მიერ შედგენილ აქტში (ივირონი I, n. 29). წყაროში ჩამოთვლილი 6 დომენიდან ბარბარეს დომენი მოიცავდა **ორფანოტროპეიონის** მამულებსაც (ივირონის აქტები, 2008, გვ. 199). ბერძნული ტექსტის მიხედვით ბარბარეს დომენის საზღვრები ორფანოტროპეიონის მარცხენა მხარეს ესაზღვრებოდა(**ἐξ ἀριστερῶν τὰ σύνορα τοῦ**

---

[1] „დიდსა უკუე ლავრასა მისცეს, ვითარცა ვთქუთ, ოქრობეჭედი განძისა ორას ორმეოცდა ოთხისა დრაჰკანისაჲ.... და კუნძული, რომელსა ნეოს ეწოდების, ბასილი მეფისა ბოძებული იოვანესდავე, რომელისაგან გამოვალს გამოსავალი ყოველთა წელთა იდ ლიტრაჲგინა ათხუთმეტი და ოდესმე ოციცა“ (*ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* II, 1967, გვ. 52).

2 „ყოველთა წელთა იდ ლიტრაჲგინა ათხუთმეტი და ოდესმე ოციცა“ *(ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* II, 1967, გვ. 52).

ὀρφανοτροφείου) (*ივირონის აქტები,* 2008, გვ. 205), რაც მიუთითებს, რომ ორფანოტროპეიონი იყო ცალკე არსებული დაწესებულება ივირონის მფლობელობაში ისევე, როგორც პეტრიწონის მეტოქიონი ნიკოლწმინდაში ან ათანასეს ლავრის საკუთრებაში კუნძული ნეოსი.

ამგვარად, როგორც ივირონის აქტებშია მითითებული, 1047 წლის ანდრონიკეს სასაზღვრე აქტი ადასტურებს, რომ დასავლეთ ქალკედონიაში მდებარე ბარბარეს დომენი, რომელიც მოიცავდა ორფანოტროპეიონის მამულებს, უკვე ივირონის მფლობელობაში იყო 1047 წელს. გიორგი მთაწმინდელი კი 1044 წელს დაადგინეს ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვრად, შესაბამისად, სრულიად დასაშვებია, რომ მისი ხელმძღვანელობის დროს დაარსებულიყო ივირონის კუთვნილებაში არსებული ორფანოტროპეიონი. გარდა ამისა, ფაქტია, რომ 1047 წელს ორფანოტროპეიონი უკვე ფუნქციონირებს, ვინაიდან მას სასაზღვრე ნიშნად იყენებენ ანდრონიკეს აქტში.

ამასთანავე, დასავლეთ ქალკედონიის ტერიტორიაზე მსგავსი დაწესებულების არსებობა მიუთითებს, რომ უწვერული ახალგაზრდების აღზრდა და მომზადება სამონასტრო ცხოვრებისთვის სრულიად შესაძლებელი იყო ათონის მთაზე მოქმედი მკაცრი ტიპიკონის პირობებშიც კი, ვინაიდან ორფანოტროპეიონი მდებარეობდა არა ათონის მონასტრების სიახლოვეს, არამედ მოშორებით და წარმოადგენდა ისეთ სივრცეს, რომელშიც შეიძლებოდა გიორგი მთაწმინდელის მიერ საქართველოში „შეწყნარებული“ მოზარდების განთავსება განათლების მისაღებად.

ზემოთჩამოთვლილი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ივირონის მონასტერს ეკუთვნის ბავშვთა თავშესაფარი - ორფანოტროპეიონი ბარბარეს დომენში, დასავლეთ ქალკედონიაში, რომელსაც საწვრთნელი\სასწავლო სივრცის ფუნქციაც ექნებოდა შეთავსებული ბიზანტიის იმპერიაში არსებული ორფანოტროპეიონების მსგავსად. აღნიშნული დაწესებულება 1047-1090-იანი წლების განმავლობაში ფუნქციონირებს, ეს კი სრულიად შესაძლებელს ხდის იმ დაშვებას, რომ სწორედ ეს ტერიტორია უნდა ყოფილიყო საქართველოდან წაყვანილი მოზარდების განთავსების ადგილი.

ამგვარად, სტატიაში გაანალიზებული ჰაგიოგრაფიული ტექსტების - გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ და „ათანასე დიდის ცხოვრება“ - მიხედვით შესაძლებელი გახდა XI საუკუნის ათონის მთის მონასტრების დაქვემდებარებაში მყოფი მოზარდების აღზრდა-განათლების პრაქტიკის რეკონსტრუქცია. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ აღწერილი მოზარდთა ასაკობრივი დაჯგუფება სრულიად ემთხვევა ბიზანტიაში მოქმედ ასაკობრივ კატეგორიებს, ხოლო „ათანასე დიდის ცხოვრების“ ტექსტი ისევე, როგორც „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებისა“ და პეტრიწონის მონასტრის ტექსტები მკაფიო ცნობებს იძლევიან მონასტრის მიღმა არსებული საგანმანათლებლო სივრცეების არსებობის შესახებ. ათანასეს ლავრის უწვერული ყრმები მონასტრის გარეთ არსებულ ტერიტორიებზე - მილოპოტამოსსა და კუნძულ ნეოსზე იყვნენ განთავსებულნი, სადაც საწვრთნელი სივრცეები იყო მოწყობილი. როგორც პეტრიწონის მონასტრის წესდება მიუთითებს, უწვერულთა განცალკევებით აღზრდის ბიზანტიური გამოცდილება ქართულ სამონატრო ტრადიციაშიც პოულობს

ანალოგს[1] (პეტრიწონის მონასტრის მეტოქიონი ნიკოლწმინდაში), რაც საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ანალოგიური პრაქტიკა უნდა ჰქონოდა ივირონის მონასტერსაც.

აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს ივირონის აქტებში დაცული წყარო, რომელიც ადასტურებს ორფანოტროპეიონის - ბავშვთა თავშესაფრის - არსებობას ივირონის მონასტრის საკუთრებაში XI საუკუნის შუა პერიოდიდან. აღნიშნული პერიოდი კი სრულიად ემთხვევა გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობას ათონის მთაზე.

გამოთქმული ვარაუდს ასევე ამყარებს რამდენიმე არგუმენტი: ორფანოტროპეიონი ითავსებდა როგორც ობოლ და სოციალურად დაუცველ ბავშვთა აღზრდას, ისე მათ განათლებასა და სამონასტრო ცხოვრებისთვის მომზადებას, რაც სრულიად შეესაბამება იმ საჭიროებას, რაც გიორგი მცირის ტექსტშია აღწერილი; გარდა ამისა, ოფანოტროპეიონის მდებარეობა არა ათონის ნახევარკუნძულზე, არამედ მის მიღმა სრულიად თანხვედრაში მოდის სამონასტრო ტიპიკონების რეგულეციებთან. გარდა ამისა, ივირონის კუთვნილებაში არსებული ორფანოტროპეიონი სრულიად ლოგიკურად გვაფიქრებინებს, რომ ბარბარეს დომეინში არსებული ორფანოტროპეიონი ქართველი მოზარდებისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

წინამდებარე სტატიაში გამოთქმული ვარაუდები კიდევ ერთ დამატებით ცნობას წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ივირონის აქტებში დაცული ცნობისა, რაც ამჟამად ერთადერთი პირდაპირი მითითებაა ივირონის კუთვნილებაში არსებული ორფანოტროპეიონის შესახებ, საკითხი სამომავლო კვლევას და დაზუსტებას საჭიროებს.

ბიბლიოგრაფია

1. აფციაური, ჯ. (1980). *გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხორება,* თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

2. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.* წიგნი II (XI-XVსს.) (1967). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი

3. გამსახურდია, ს. (1975) *სწავლა-განათლება ძველ საქართველოში,* „განათლება“.

4. *ივირონის აქტები* (2008), ტ. I, თ. მგალობლიშვილის რედაქციით, თბილისი.

5. *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი.* ტიპიკონის ქართული რედაქცია (1971). ა. შანიძე (გამომც.), „მეცნიერება“, თბილისი.

[1] როგორც შ. ნუცუბიძე შენიშნავს, უკვე IX საუკუნეში არსებობდა ყრმათათვის განკუთვნილი მონასტერს დაქვემდებარებული ცალკე მდგარი შენობები. „მხედველობაში იყო მისაღები, რომ ბავშვები უფროსების წრეში არ უნდა ყოფილიყვნენ, რათა ამას არ გამოეწვია მათი ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით ცუდი ზეგავლენა და რაიმე სიმახინჯე. ისეთ შემთხვევაში, როცა ასეთი ცალკე მოთავსება ბავშვებისა არ ხერხდებოდა, ძნელი საქმე იყო სწავლების მოგვარება. ისტორიკოსი გადმოგვცემს ფაქტს, რომ გრიგოლ ხანძთელს ერთ შემთხვევაში დასჭირდა საქმეში ჩარევა, რომ ბავშვები მოთავსებული ყოფილიყვნენ აღსაზრდელად ბერების სენაკში, თუნდაც სრულიად განაპირა და განკერძოებულში“ (ნუცუბიძე, 1965, გვ. 422)

6. ნუცუბიძე, შ. (1965). *კრიტიკული ნარკვევები. ფილოსოფია და კულტურა.* თბილისი
7. პაპუაშვილი, ნ. „გიორგი მთაწმინდელი - ეკლესიოლოგი, კულტურტრეგერი და რეფორმატორი“. http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619730&kat=188
8. თავზიშვილი, გ. (1948). უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში.
9. Angold, M. (1995). *Church and society in Byzantium under the Comneni, 1081–1261*. Cambridge University Press.
10. Baynes, N. H., & Moss, H. St. L. B. (Eds.). (1948). *Byzantium: An introduction to East Roman civilization.* Oxford University Press, 1948
11. Becker, A. H. (2006). *Fear of God and the beginning of wisdom: The School of Nisibis and Christian scholastic culture in late antique Mesopotamia*. University of Pennsylvania Press.
12. Browning, R. (1962). ''The patriarchal school at Constantinople in the twelfth century''. *Byzantion*, 32(1), 167–168. Peeters Publishers;
13. Browning, R. (1992). *The Byzantine Empire*. The Catholic University of America Press.
14. Byzantine Monastic Foundation Documents. (2000). *A complete translation of the surviving founders' typika and testaments* (Vol. 1). Dumbarton Oaks Research Library and Collection.
15. Constantine VII Porphyrogenitus. (1935). *De ceremoniis* (A. Vogt, Trans. & Ed.). Société d'édition "Les Belles Lettres".
16. Cooper, K. (Ed.). (2020). *Social control in late antiquity: The violence of small worlds.* Cambridge University Press.
17. Kalogeras, N. (2012). Locating young students in Byzantine churches. In *Religious education in pre-modern Europe.* Brill.
18. Lemerle, P. (2017). *Byzantine Humanism: The First Phase, Notes and Remarks on Education and Culture in Byzantium from Its Origins to the 10th Century*, (L. H. A. Moffatt, Trans.). Brill.
19. "Life of Athanasios of Athos, Version B." (2016). In R. P. H. Greenfield & A.-M. Talbot (Eds. & Trans.), *Holy men of Mount Athos.* Dumbarton Oaks Medieval Library, Harvard University Press.
20. Magoulias, H. J. (Ed.). (1976). *Education and learning in the sixth and seventh centuries as viewed in the lives of the saints. The Greek Orthodox Theological Review,* 21.
21. Miller, T. S. (2003). *The orphans of Byzantium: Child welfare in the Christian Empire*. The Catholic University of America Press
22. Moffatt, A. (1986). *The Byzantine child*. Social Research, 53(4), pp. 705-723.
23. Nousia, F. (2016). *Byzantine textbooks of the Palaeologan period*. Biblioteca Apostolica Vaticana.
24. Talbot, A.-M. (2019). *Varieties of monastic experience in Byzantium, 800–1453.* University of Notre Dame Press.
25. Talbot, A.-M. (2018). The adolescent monastic in middle and late Byzantium. *In Coming of age in Byzantium: Adolescence and society* (pp. 83–96). De Gruyter GmbH.
26. *The Oxford Handbook Of Byzantine Studies* (2008). Jeffreys, E., Haldon, J., and Cormack, R., (Eds.). Oxford University press.